# ქცევის კოდექსი

MAERSK

# ჩვენი მიზანი

# ჩვენი ღირებულებები

# ჩვენი ქცევის კოდექსი

„ძირითადი პრინციპი არის ის, რომ ხალხს შეუძლია ჩვენი ნდობა“

აერსკ მაკ-ქინი მოლერი (1913–2012)

MAERSK

# Contents


**შესავალი** 4

**ქცევის კოდექსის საფუძვლები** 5

- მიზანი, რომელიც გვამოძრავებს 6
- გრძელვადიანი ღირებულებები, რომლითაც ვხელმძღვანელოთ 7
- მდგრადობისადმი ჩვენი ვალდებულება 8
- შიდა მმართველობის ვალდებულებათა სისტემა 9

**გავრცელების/მოქმედების სფერო** 10

**ჩვენი პასუხისმგებლობები** 11

**დააფიქსირეთ თქვენი აზრი** 12

**ქცევის კოდექსის გამოყენება სწორი გადაყვეტილებების მისაღებად** 13

**პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმართვის ჩვენი სტანდარტები** 14

**ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს თანამშრომლებზე** 15

- ჯანდაცვა და უსაფრთხოება 16
- შრომითი უფლებები 17
  - ანაზღაურება
  - გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური შეთანხმების უფლება
  - იძულებითი შრომა
  - არასრულწლოვანთა შრომა
  - სამართლიანი პროცედურები
  - სამუშაო საათები
  - დისკრიმინაცია
  - შევიწროება

**ჩვენ ვიცავთ კანონს და სამუშაოს ვასრულებთ კეთილსინდისიერად** 19

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 20
  - საჩუქრები, გართობა და სტუმარ-მასპინძლობა
  - შემოწირულობა, ფინანსური მხარდაჭერა, საქველმოქმედო შენატანი
  - მესამე მხარეები
- კონკურენციის კანონის შესაბამისობა 21
- სანქციები და ექსპორტის კონტროლი 22
  - სანქციები
  - ექსპორტის კონტროლი
- ინტერესეთა კონფლიქტი 23

**ჩვენ პასუხისმგებლობით ვეკიდებით პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას.** 24

- მთავრობებთან ურთიერთობა 25
- დონაციები, საქველმოქმედო მხარდაჭერა, სპონსორობა და საზოგადოებრივი ინვესტიციები 25
- სოციალური ქსელის საქმიანი გამოყენება 25

**ჩვენ ვიცავთ ჩვენს, ასევე სხვების აქტივებს** 26

- კიბერ უსაფრთხოება 27
- მონაცემთა ეთიკა და კონფიდენციალურობა 28
  - მონაცემთა კონფიდენციალურობა
- ინტელექტუალური საკუთრება 29

**ჩვენ ვიცავთ გარემოს** 30

- დეკარბონიზაცია 31
- ჯანმრთელი ეკოსისტემა და ბიომრავალფეროვნება 31
- ნარჩენები და დაბინძურება 32
- რესურსების მოხმარების მინიმიზაცია 32

**ჩვენ ვახორციელებთ მკაცრ ფინანსურ კონტროლს** 33

- თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა 34
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა 35
- შიდა ინფორმაცია 35


MAERSK

# შესავალი

ინტერვიუ ეი.პი. მოლერ-მაერსკის აღმასრულებელ დირექტორთან, ვინსენტ კლერკთან.

**ვინსენტ, რატომ სჭირდება მაერსკს ქცევის კოდექსი?**
გვსურს ჩვენს თანამშრომლებს მივცეთ მიმართულება, თუ როგორ მიიღონ გადაწყვეტილებები ჩვენი გლობალური მიზნის და ღირებულებების, ასევე საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტებისადმი ჩვენი ვალდებულებების შესაბამისად.

მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი ქცევის კოდექსი აწესებს გლობალურ სტანდარტებს იმის შესახებ, თუ როგორ ვურთიერთობთ ჩვენ, როგორც კომპანია ჩვენს კოლეგებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. განურჩევლად იმისა, თუ მაერსკის რომელი ბრენდისთვის მუშაობთ ან სად ცხოვრობთ: ქცევის კოდექსით უნდა იხელმძღვანელოთ და წარმართოთ თქვენი ყოველდღიური საქმიანობა.

კოდექსი წარმოდგენას უქმნის ჩვენს მომხმარებლებლებს, მომწოდებლებსა და სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებს იმაზე, თუ რას შეიძლება მოელოდნენ ჩვენგან.

**უბრალოდ კანონის შესაბამისი მოქმედება არ იქნებოდა საკმარისი?**
არავითარ შემთხვევაში. მაერსკის ყველა თანამშრომელი ისედაც მოქმედებს კანონის ფარგლებში, სხვაგვარად უბრალოდ წარმოუდგენელია. მაგრამ კანონის გარდა, ჩვენი ქცევის კოდექსი მოიცავს ჩვენს მიზანსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმძღვანელოებს, ვალდებულებებს ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების წინაშე, გაეროს გლობალურ შეთანხმებას და იმ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს, რომლის წინაშეც ჩვენი ბიზნესის დგას.

ეს კოდექსი ადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლის შესრულებასაც თითოეული ჩვენი თანამშრომლისგან მოველით, მაშინაც კი, თუ ადგილობრივი კანონების მოთხოვნები უფრო მსუბუქია.

**თქვენ ახსენეთ ჩვენი მიზანი და ღირებულებები. რა კავშირია მათსა და ქცევის კოდექსს შორის?**
სწრაფად განვითარებად სამყაროში, სადაც მუდმივად იცვლება ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და საბაზრო პირობები, ჩვენი მიზანი და ღირებულებები წარმოადგენს ჩვენი მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან გარანტს.

ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველამ გაითავისოს, რომ არ არსებობს არანაირი კონფლიქტი ზრდასა და ბიზნესის ქცევის სტანდარტებს შორის. სინამდვილეში, ისინი ერთმანეთს აძლიერებენ, როგორც ამას ჩვენი მიზანი ამბობს. ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენს სრულყოფილებისკენ სწრაფვას უზრუნველყოფენ ჩვენი ძირითადი ღირებულებები, რომლებიც საუკუნეზე მეტია ჩვენთანაა. კოდექსი არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც გვეხმარება ყოველივე ზემოთხსენებულის მიღწევასა და შენარჩუნებაში.

**ფარავს თუ არა კოდექსი ყველა იმ შესაძლო სიტუაციას, რომელშიც შეიძლება აღმოვჩნდე?**
არა, კოდექსი არ მოიცავს ყველა შესაძლო სცენარს. იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებული არ ხართ როგორ მოიქცეთ, დახმარებისთვის მიმართეთ თქვენს მენეჯერს. თუ თვლით, რომ რაღაც მართებულად არ მიმდინარეობს, გამოიყენეთ შესაბამისი არხები თქვენი წუხილის დასაფიქსირებლად. სწორი საქციელის გამო არასდროს არავინ განაგსჯით, პირიქით კითხვების დასმითა და აზრის ხმამაღლა დაფიქსირებით თქვენ ხელს შეუწყობთ და გააძლიერებთ ჩვენს სამართლიანობის და კეთილსინდისიერების კულტურას.

MAERSK

# ქცევის კოდექსის საფუძვლები

აერსკი ვალდებულებას იღებს დაიცვას ყველა შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული კანონი, წესი და რეგულაცია, რაც წარმოადგენს ქცევის კოდექსის ძირითად, მაგრამ არა ერთადერთ მოთხოვნას.

MAERSK

# მიზანი, რომელიც გვამოძრავებს

## ცხოვრების გაუმჯობესება ყველასთვის მსოფლიოს გაერთიანების გზით

ჩვენი მიზანი არის მიზანი იმისა, თუ რატომაც ვდგებით ყოველ დილით, ახალი და საინტერესო დღის მოლოდინში. ის  გულისხმობს სარგებლის მოტანას არა მხოლოდ ჩვენი აქციონერებისთვის, არამედ, იმ სამყაროსთვის, რომელსაც ყველანი ვიზიარებთ, მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ტალანტების მოზიდვისა და შენარჩუნების და ჩვენი საზოგადოების ღირებული და პასუხისმგებლიანი წევრობის გზით.

# გრძელვადიანი ღირებულებები, რომლითაც ვხელმძღვანელოთ

თუ ჩვენი მიზანი პასუხობს შეკითხვას „რატომ“, ჩვენი ღირებულებების შესაფერისი იქნება კითხვა - „როგორ“. ისინი წარმოადგენენ ჩვენს მორალურ კოდექსს და აწესებენ სწორი ქცევის სტანდარტებს, როგორც ცალკეული პიროვნებისთვის, ისე კომპანიისთვის.

მაერსკის ხუთი ძირითადი ღირებულება უკვე საუკუნეზე მეტია რაც ჩვენს დნმ-შია. მაერსკ მაკ-ქინი მოლერმა პირადად დაწერა და გადმოგვცა ისინი პენსიაზე გასვლამდე 2003 წელს.

## მუდმივი ზრუნვა

იზრუნეთ დღევანდელ დღეზე, აქტიურად მოემზადეთ ხვალინდელისთვის.

იქნება ეს დღევანდელი გამოწვევების გადაჭრა თუ მომავლის შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ჩვენ ვმუშაობთ ინოვაციურ მიდგომებზე და ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ.

## თავმდაბლობა

მოუსმინეთ, ისწავლეთ, გააზიარეთ და შექმენით ღირებულებები სხვებისთვის. ცნობისმოყვარეობით, მიუკერძოებლად, გახსნილი გონებითა და პატივისცემით ვუდგებით განსხვავებულ აზრს. ვცდილობთ ვისწავლოთ ერთმანეთისგან, ჩვენი მომხმარებლებისა და ჩვენს გარშემო არსებული სამყაროსგან. ჩვენ მხოლოდ ერთად ვაღწევთ წარმატებას.

## პირდაპირობა

ჩვენი სიტყვა ჩვენი გარანტიაა ყოველდღიურად ვიმსახურებთ ჩვენი მომხმარებლებისა და პარტნიორების ნდობას. მათ შეუძლიათ გვენდონ, რომ რთულ სიტუაციებშიც კი შევასრულებთ დანაპირებს და მოვიქცევით სწორად. ჩვენ ვსაუბრობთ ღიად და პატიოსნად და ყოველთვის კეთილსინდისიერად ვმოქმედებთ.

## ჩვენი თანამშრომლები

ღირსეული გარემო ჩვენი თანამშრომლებისთვის რეალური მიზნით დაკავშირებულნი, ჩვენ ვქმნით ზრდის, განვითარებისა და მოლოდინების გადაჭარბების შესაძლებლობებს. ჩვენ ვიმარჯვებთ ერთად, როგორც მრავალფეროვანი და გლობალური სამუშაო ადგილი, სადაც ადამიანები თავს დაცულად და დაფასებულად გრძნობენ და აქვთ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.

## ჩვენი სახელი

ყველაფერი, რასაც წარმოვადგენთ და ვიცავთ

ჩვენი სახელი არის სანდოობისა და მაღალი ხარისხის დაპირება და ვალდებულება. ჩვენ ყველანი ვართ ელჩები, მაერსკის წარმომადგენლები და მისი სახელის დამცველები, რომლებიც ვიღწვით მეტად მდგრადი და ინტეგრირებული სამყაროსკენ.

# მდგრადობისადმი ჩვენი ვალდებულებ

გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა წარმოადგენს მაერსკის ბიზნეს სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს, რადგან კომპანიისთვის მნიშვნელოვანია წარმართოს მდგრადი და პასუხსიმგებლიანი ბიზნესი. ეს გამოიხატება იმაშიც, თუ ჩვენ, როგორც საკონტეინერო ლოგისტიკის გლობალური ინტეგრატორი როგორ ვემსახურებით მომხმარებლებს ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. ამასთანავე, როგორ ვცდილობთ უზრუნველვყოთ თანაბარი და სამართლიანი პირობები, რომლებსაც საზოგადოებისთვის მოაქვს იმაზე გაცილებით დიდი სარგებელი, ვიდრე ეს საქონლის ტრანსპორტირებაა.

მაერსკი, როგორც გლობალური კომპანია, პასუხისმგებლობას იღებს საზოგადოებასა და იმ გარემოზე, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ. ყოველივე ამის შესასრულებლად კი ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო სტანდარტებითა და გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებით.

ჩვენ პატივს ვცემთ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა“ და „შრომის სფეროში ფუძემდებლური პრინციპებისა და უფლებების“ შესახებ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)“ დეკლარაციით. ამის გარდა, პასუხისმგელობას ვიღებთ, დავნერგოთ ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინიცპები, განსაზღვრული მულტინაციონალური კორპორაციებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოთი.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ იმაზე, რომ თავიდან ავიცილოთ არასასურველი ზემოქმედება ჩვენი ღირებულებათა ჯაჭვის სფეროში მოქცეულ ადამიანებზე, რისთვისაც მუდმივად ვაკონტროლებთ თუ როგორ ვმართავთ ადამიანის უფლებებზე ჩვენს ზემოქმედებას ადამიანის უფლებების სამართლებრივი შეფასების პოლიტიკისა და პროცესების მეშვეობით.

ადამიანის უფლებების მიმართ ჩვენი ვალდებულები უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ჩვენს პოლიტიკაში ადამიანის უფლებების შესახებ.

მეტი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ისარგებლოთ ბმულით ან დაასკანეროთ კოდი.


LOW GHG
MAERSK
MAERSK
MAERSK

# შიდა მმართველობის ვალდებულებათა სისტემა

ქცევის კოდექსში გაწერილი სტანდარტების შესახებ დამატებითი, უფრო დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია „ბიზნეს ეთიკის წესებში“, რომელიც წარმოადგენს მაერსკის შიდა მმართველობის ვალდებულებათა სისტემის „Commit-ის“ ნაწილს. აღნიშნული წესები ხელმისაწვდომია მაერსკის შიდა ქსელში და მისი დაცვა სავალდებულოა თითოეული თანამშრომლისთვის.




„Commit-ის“ სანახავად დააჭირეთ აქ (აუცილებელია წვდომა მაერსკის შიდა ქსელზე) ან დაასკანერეთ კოდი.

# გავრცელების/მოქმედების სფერო

მაერსკის ქცევის კოდექსი ვრცელდება მაერსკის თითოეულ თანამშრომელზე, განურჩევლად იმისა მუშაობენ ზღვაში, ხმელეთზე ჩვენს რომელიმე ოფისში, ტერმინალზე, საწყობსა თუ სხვა დაწესებულებაში.

ქცევის კოდექსი ასევე ვრცელდება მომსახურების ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომლებზე, რომლებიც მოქმედებენ მაერსკის სახელით.

MAERSK

APM TERMINALS
Lifting Global Trade

ALIANÇA
A Maersk Company

MAERSK CONTAINER INDUSTRY

MAERSK TRAINING

MAERSK H2S SAFETY SERVICES

MAERSK

# ჩვენი პასუხისმგებლობები

### ყველა თანამშრომელს

- გაეცანით, გაითავისეთ და მიჰყევით ქცევის კოდექსს;
- ითხოვეთ დახმარება, როდესაც არ ხართ დარწმუნებული თუ როგორი გადაწყვეტილება, ქცევა ან ინტერპრეტაცია იქნებოდა ქცევის კოდექსის შესაბამისი;
- ღიად გამოხატეთ თქვენი აზრი და დააფიქსირეთ თქვენი წუხილი/შეშფოთება ისეთი ქცევების მიმართ, რომლებიც თქვენი აზრით არ არის ქცევის კოდექსთან შესაბამისობაში. ამისთვის არავინ არასდროს გამოიყენებს სანქციებს თქვენს წინააღმდეგ.

### ხელმძღვანელ პირებს

- განიხილეთ ქცევის კოდექსი თვენს გუნდთან და დარწმუნდით, რომ მათ ესმით და აცნობიერებენ თავის ყოველდღიურ სამუშაოსთან დაკავშირებულ სტანდარტებს;
- იყავით მისაბაძი სიტყვით და საქმით, როგორც თქვენი თანამშრომლების, ისე იმ მესამე მხარის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მუშაობენ მაერსკისა და ჩვენი მომხმარებლებისთვის;
- ხელი შეუწყვეთ ღია და გულწრფელ ორმხრივ კომუნიკაციას, მოუწოდეთ თანამშრომლებს დასვან შეკითხვები, დააფიქსირონ თავიანთი აზრი და იქონიეთ უკუკავშირი;
- მოისმინეთ თქვენი თანამშრომლების პრობლემები, მოეპყარით პატივისცემით, დაიცავით კონფიდენციალურობა და არ დაუშვათ ანგარიშსწორება;
- დარწმუნდით, რომ თანამშრომლებს აქვთ ინფორმაცია აზრის დასაფიქსირებლად არსებული ყველა არხის შესახებ, მაგალითად, როგორიცაა WhistleBlower.

### კონტროლირებადი ერთობლივი საწარმოები:



- იხელმძღვანელეთ აღნიშნული ქცევის კოდექსით

### არაკონტროლირებადი ერთობლივი

### საწარმოები:

- უნდა დაამტკიცონ, რომ აქვთ ქცევის კოდექსის შესაბამისი, ბიზნესის წარმართვის საკუთარი პრინციპები ან დაიცვან მაერსკის ქცევის კოდექსი

### მესამე მხარეები, რომლებიც მოქმედებენ მაერსკის სახელით მესამე მხარეები, რომლებიც მოქმედებენ მაერსკის სახელით

- მიჰყევით/იხელმძღვანელეთ მაერსკის მომწოდებლების ქცევის კოდექსით



MAERSK

# დააფიქსირეთ თქვენი აზრი

**მაერსკში, ჩვენ მხარს ვუჭერთ აზრის ღიად გამოთქმის კულტურას და გვაქვს მოლოდინი, რომ ყველა დააფიქსირებს საკუთარ კითხვას ან პრობლემას, მიუხედავად იმისა არის მაერსკის თანამშრომელი თუ არა.**





### არხები

აზრის დაფიქსირების მრავალი გზა არსებობს, რაც შესაძლებლობას გაძლევთ შეარჩიოთ თქვენთვის ყველაზე მოსახერხებელი. თუ არ იცით კონკრეტულად რომელ საშუალებაზე შეაჩეროთ არჩევანი, ჩვენი ომბუდსმენები შეძლებენ თქვენს დახმარებას.

Ways to speak up:

- თქვენი ხელმძღვანელი / მენეჯერი;
- თქვენი კოლეგები ადამიანური ფუნქციის, იურიდიული და შიდა კონტროლის სამსახურებიდან;
- მაერსკის Whistleblower სისტემა.

აზრის ხმამაღლა დაფიქსირებას დიდი გამბედაობა სჭირდება. ჩვენ გვესმის, რომ ამან შესაძლოა შეგიქმნათ დისკომფორტი ან გამოიწვიოს შფოთვა. სწორედ ამიტომ, მაერსკი უზრუნველყოფს, რომ ყველა დაფიქსირებული აზრი კონფიდენციალურად იქნება განხილული და ასევე შესაძლებლობას გაძლევთ გამოიყენოთ Whistleblower-ის სისტემა და ანონიმურად დააფიქსირუოდ თქვენი აზრი.

### Whistleblower-ის სისტემა

Whistleblower-ის სიტემა განთავსებულია უსაფრთხო, გარე ვებგვერდზე, ხელმისაწვდომია კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში და მისით სარგებლობა შესაძლებელია, როგორც ონლაინ, ისე ტელეფონის საშუალებით, სხვადასხვა ენაზე. აზრის დაფიქსირება შეგიძლიათ ანონიმურად და მიუხედავად იმისა, მიუთითებთ თუ არა თქვენს სახელს/მონაცემებს, შემთხვევები, მაინც კონფიდენციალურად იქნება შენახული.

მაერსკის Whistleblower -ის სისტემაში შესასვლელად დააჭირეთ აქ ან დაასკანერეთ კოდი.





### ნულოვანი ტოლერანტობა ანგარიშსწორების მიმართ

ჩვენთვის სასტიკად მიუღებელია ანგარიშსწორება  იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც იქცევიან სწორად და ხმამაღლა აფიქსირებენ თავიანთ აზრს. თქვენ არასდროს აღმოჩნდებით არახელსაყრელ სიტუაციაში, ისეთი ქმედებებისთვის როგორებიცაა:

- ფაქტობრივი ან პოტენციური დარღვევის შესახებ აზრის ხმამაღლა დაფიქსირება;
- ვინმეს დახმარება აზრის დაფიქსირებაში, ან
- გამოძიებასთან თანამშრომლობა.

ანგარიშსწორება/შურისძიება არის ჩვენი კოდექსისა და ღირებულებების დარღვევა. თუ მიგაჩნიათ, რომ გდევნიან/ანგარიშს გისწორებენ, გთხოვთ, ხმამაღლა ისაუბროთ. ჩვენ ნებისმიერ ასეთ შემთხვევას მოვიკვლევთ კონფიდენციალურობის დაცვით და საჭიროების შემთხვევაში მივიღებთ დისციპლინურ ზომებს. დასჯის ან სამსახურის დაკარგვის შიშმა არასდროს შეგიშალოთ ხელი აზრის ხმამაღლა დაფიქსირებაში.

MAERSK

# ქცევის კოდექსის გამოყენება სწორი გადაყვეტილებების მისაღებად

როგორც მაერსკის თანამშრომელს, თქვენ ყოველდღიურად გიწევთ გადაწყვეტილებების მიღება. მათი უმეტესობა პატარა და უმნიშვნელო ჩანს, მაგრამ სწორედ ეს, თუნდაც ყველაზე პატარა გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ იმას თუ ვინ ვართ ჩვენ.

სწორი გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის ადვილი არ არის. შეიძლება გადაწყვეტილებები ყოველთვის სამართლიანად არ იყოს აღქმული, არც მყისიერი ჯილდო მოჰყვეს, ან სულაც არსებული მდგომარეობის/წესების წინააღმდეგ მოგიწიოთ წასვლა.

**მაშ, როგორ უნდა მიიღოთ საუკეთესო გადაწყვეტილებები, როდესაც რთულ ან გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდებით?**

**ნაბიჯი 1 - შეჩერდით**
თავს არაკომფორტულად გრძნობთ ან თქვენი ინსტინქტები გკარნახობენ, რომ რაღაც რიგზე ვერ არის? - არ იჩქაროთ, დაფიქრდით.

**ნაბიჯი 2 – დაფიქრდით & მოუსმინეთ**
ფლობთ ინფორმაციას ყველა შესაძლო ფაქტზე/გარემოებაზე? არის მაერსკის ქცევის კოდექსში ისეთი სტანდარტი, რომლითაც შეძლებთ ხელმძღვანელობას? გაიხსენეთ მაერსკის მიზანი და ღირებულებები.

- არის თუ არა თქვენი ქმედებები კანონიერი, სამართლიანი და კეთილსინდისიერი?
- როგორ ვიგრძნობდი თავს ამის შემდეგ?
- რა მოხდება ამ პრობლემით მედია საშუალებების ან სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესების შემთხვევაში?

მოუსმინეთ თქვენს გარშემო მიმდინარე საუბრებს. შესაძლოა ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდეთ თუ გესმით ან თავად იყენებთ ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა:

- „ვერასდროს ვერავინ გაიგებს“
- „არ აქვს მნიშვნელობა როგორ კეთდება, სანამ კეთდება“
- „ყველა ასე იქცევა, ანუ ნორმალურია“
- „არ იდარდო, აქ ყველა ასე ვიქცევით“
- „არ მინდა ამის ცოდნა“

**ნაბიჯი 3 – დაელაპარაკეთ სხვებს**
თუ არ ხართ დარწმუნებული როგორ მოიქცეთ, დახმარებისთვის მიმართეთ თქვენს მენეჯერს, კოლეგებს ადამიანური ფუნქციის, იურიდიული და შიდა კონტროლის სამსახურებიდან. თუ თქვენთვის მაერსკის თანამშრომლებთან საუბარი არაკომფორტულია, შეგიძლიათ წუხილის ანონიმურად გამოსათქმელად, ნებისმიერ დროს გამოიყენოთ Whistleblower-ის სისტემა.

**ნაბიჯი 4 - იმოქმედეთ და ისწავლეთ**
მიიღეთ ფაქტებზე/არსებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება - ეს შეიძლება იყოს მარტივი არჩევანი “სწორსა” და “არასწორს” შორის, ან უფრო რთული გადაწყვეტილება ორ „სწორ“ ალტერნატივას შორის. გაიაზრეთ და აწონ-დაწონეთ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილები - რა შედეგს მიაღწიეთ და რა გასწავლათ აღნიშნულმა სიტუაციამ.

MAERSK

# პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმართვის ჩვენი სტანდარტები



ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს თანამშრომლებზე

ჩვენ ვიცავთ/ვუფრთხილდებით ჩვენს და სხვების ქონებას/აქტივებს

ჩვენ პასუხისმგებლობით ვეკიდებით პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას



ჩვენ ვიცავთ კანონს და სამუშაოს ვასრულებთ კეთილსინდისიერად

ჩვენ ვიცავთ/ ვუფრთხილდებით გარემოს

ჩვენ ვახორციელებთ ძლიერ ფინანსურ კონტროლს

MAERSK

# ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს თანამშრომლებზე

ჩვენ, მაერსკში ჩვენი თანამშრომლებისთვის ვქმნით შესაფერის გარემოს და ვზრუნავთ სწორი კანდიდატების შერჩევაზე მათ მიღწევებზე, უნარ-ჩვევებსა და პიროვნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით. ჩვენი თანამშრომლები სარგებლობენ თანსწორი უფლებებით და მათი სამუშაო პირობები, როგორც მინიმუმ, ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისია. ჩვენი სამუშაო გარემო თავისუფალი უნდა იყოს დისკრიმინაციისა და ყველანაირი შევიწროებისგან. თავს ვალდებულად ვთვლით შევუქმნათ თანამშრომლებს უსაფრთხო სამუშაო გარემო, რათა უზრუნველვყოთ მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

MAERSK

# ჯანდაცვა და უსაფრთხოება

ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო ადგილი. ჩვენ არა მხოლოდ ვიცავთ სამართლებრივ და სახელშეკრულებო მოთხოვნებს, ასევე ვნერგავთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების მართვას ჩვენს ყოველდღიურ ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეულ ჩვენგანს ეკისრება პასუხისმგებლობა, გამოავლინოს, გაიგოს და შეამსუბუქოს მიუღებელი რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. სადაც რისკები ვერ აღმოიფხვრება, ჩვენ მათ დასაშვებ დონემდე ვამცირებთ.

უსაფრთხოება არის კონტრაქტორების და ბიზნეს პარტნიორების შეფასებისა და შერჩევის პროცესის ფაქტორი და ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას მათი უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებაზე.

ჩვენი ვალდებულება ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და მდგრადობის შესახებ ემყარება ოთხ პრინციპს:

- ჩვენ ვხემძღვანელობთ ზრუნვით. ჩვენი ხელმძღვანელები რთავენ პროცესებში, უსმენენ და პასუხობენ ჩვენს წინა ხაზს;
- ჩვენ ვსწავლობთ და ვადაპტირდებით. ქმედებით ვპასუხობთ მნიშვნელოვან რისკებს, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენს გაუმჯობესებებს;
- ჩვენი თანამშრომლები არიან ექსპერტები. ერთმანეთისგან ვსწავლობთ რათა ავამაღლოთ ჩვენი კულტურა;
- ჩვენ ძლიერები და მოქნილები ვართ. ვვითარდებით რთული პერიოდის დადგომამდე, მის განმავლობაში და შემდგომაც.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ყველასთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და შენარჩუნება;
- გააცნობიერეთ რისკები თქვენს სამუშაო ადგილზე და მის ირგვლივ და მიმართეთ ძალისხმევა მათი აღმოფხვრისთვის სწორი კონტროლების გამოყენებით, ყველას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ისწავლეთ წარმატებებისგან თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში;
- აღიარეთ, რომ სამუშაო ძალიან იშვიათად მიდის გეგმის მიხედვით და სწორედ ჩვენი თანამშრომლების ინოვაციებითა და უნარებით სრულდება იგი უსაფრთხოდ;
- იყავით სამაგალითო, წაახალისეთ ნდობა ჩართულობით და უფლებამოსილების გაზიარების გზით, მოუსმინეთ და გაითვალისწინეთ ყველას შეხედულებები მუშაობის დაწყებამდე.

# ომითი უფლებები

შრომითი უფლებები არის ადამიანთა უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი დიდ როლს თამაშობენ მაერსკსა და მის თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობებში.

### ანაზღაურება

ჩვენ ვიცით, რომ ხელფასი თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საჭიროებას და უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენს თანამშრომლებს ჰქონდეთ, სულ მცირე, ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური ანაზღაურება და სარგებელი.

### გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური შეთანხმების უფლება

მაერსკი პატივს სცემს თანამშრომლების უფლებას გაერთიანდნენ, ჩამოაყალიბონ ან შეუერთდნენ ორგანიზაციებს მათი სურვილისამებრ. ჩვენ ასევე ვაღიარებთ ჩვენი თანამშრომლების უფლებას, თავი შეიკავონ კოლექტიური წარმომადგენლობისგან. მაერსკი მოწოდებულია ჩაატაროს კოლექტიური მოლაპარაკებები კანონიერად აღიარებული პროფკავშირების თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებთან.

### იძულებითი შრომა

მაერსკი არასდროს გამოიყენებს იძულებითი ან არანებაყოფლობითი შრომის რომელიმე ფორმას, და განერიდება ისეთ პრაქტიკებს, რომელმაც შესაძლოა წაახალისოს/გაზარდოს იძულებითი შრომის რისკი.

### არასრულწლოვანთა შრომა

მაერსკი მკაცრად იცავს ყველა ადგილობრივ კანონსა თუ რეგულაციას და არც ერთ გარემოებაში არ დაასაქმებს ბავშვებს 15 წლამდე, საზღვაო სამუშაოს შემთხვევაში კი - 16 წლამდე. მაერსკი, ბავშვებს 18 წლამდე არ დაუშვებს მავნე ან ღამის ცვლის სამუშაოზე.

### სამართლიანი პროცედურები

ჩვენ ვიცავთ დისციპლინურ, საჩივრების მართვისა და სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია კომპანიის პოლიტიკებითა და კოლექტიური ხელშეკრულებით.

### სამუშაო საათები

ჩვენ მზად ვართ უზრუნველვყოთ მოქმედი კანონების, რეგულაციებისა და შესაბამისი კოლექტიური ხელშეკრულებების სრული დაცვა სამუშაო საათებთან და ზეგანაკვეთურ სამუშაოებთან, შვებულებასთან და დასვენების მინიმალურ პერიოდებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკაა, არ დაუშვას ფართოდ გავრცელებული და სისტემატიური ზეგანაკვეთური მუშაობა. ნებისმიერი ზეგანაკვეთური საათი სათანადოდ იქნება ანაზღაურებული დასაქმების ინდივიდუალური პირობების, მოქმედი რეგულაციებისა და შესაბამისი კოლექტიური ხელშეკრულებების შესაბამისად.

# ომითი უფლებები

### დისკრიმინაცია

ჩვენი წარმატება დამოკიდებულია ყველა ჩვენგანის შესაძლებლობაზე ერთად და მოტივირებულად ვითანამშრომლოთ განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, თაობებს შორის განსხვავებისა, რელიგიისა, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური წარმომავლობისა და შეხედულებისა. სწორედ ამიტომ მაერსკისთვის მიუღებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია.

დისკრიმინაცია შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის უთანასწორო მოპყრობა რასის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, ენის ან რელიგიის მიხედვით.

ჩვენი მიზანია შევქმნათ ინკლუზიური კულტურა, სადაც ახლებურად აზროვნება, განსხვავებული  უნარები და ნიჭი იქნება დაფასებული და ჯეროვნად ათვისებული. ეს ნიშნავს იმას, რომ მრავალფეროვნება უნდა იყოს დაფასებული და  უნდა მოხდეს ინოვაციურობისა და თანამშრომლობის წახალისება, რაც ყველას დაგვეხმარება გავიმარჯვოთ, როგორც ერთმა გლობალურმა გუნდმა.

### შევიწროება

ყველა თანამშრომელს აქვს უფლება იმუშაოს ისეთ გარემოში, რომელიც თავისუფალია შეურაცხმყოფელი და შეუსაბამო ქცევისგან. შევიწროებას, ძალადობას და ბულინგს ადგილი არ აქვს მაერსკის კულტურაში.

შევიწროება არის არასასურველი ქცევა, რომელიც შეურაცხყოფს ვინმეს ან აგრძნობინებს თავს დამცირებულად. არასასურველი ქცევის მაგალითებია შეურაცხმყოფელი ხუმრობები, არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, ძალადობა ან ძალადობის მუქარა, დაშინება, დაცინვა, შეურაცხყოფა ან შეურაცხმყოფელი საგნები ან სურათები.

შევიწროებას შესაძლოა ადგილი ქონდეს ბევრნაირ ვითარებაში, მათ შორისაა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ის ქმნის მტრულ სამუშაო ატმოსფეროს და გავლენას ახდენს ჩვენი თანამშრომლების ზოგად კეთილდღეობაზე.

ზოგიერთმა თანამშრომელმა შეიძლება არ იცოდეს ის ფაქტი, რომ მათი ქცევა შეურაცხმყოფელია და უარყოფითად მოქმედებს სხვებზე. ამიტომ ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი სიტყვებისა და ქცევების გავლენა ჩვენს თანამშრომლებზე.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- დაიცავით თქვენი შრომითი ხელშეკრულების პირობები.
- იმოქმედეთ პატივისცემით, არადისკრიმინაციული გზით კოლეგების მიმართ, როგორც პირადად, ისე ელექტრონულად.
- ხელი შეუწყვეთ ინკლუზიურ სამუშაო გარემოს დისკრიმინაციის, შევიწროების, ძალადობისა და ბულინგის გარეშე.

# ჩვენ ვიცავთ კანონს და სამუშაოს ვასრულებთ კეთილსინდისიერად

ყოველთვის პატიოსნად მოქმედებას ითვალისწინებს მაერსკის კორპორაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება ჩვენი კომპანიის მთავარ ფასეულობა „პირდაპირობას“. ეს იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარეები გვიცხადებენ ნდობას და სჯერათ, რომ შევასრულებთ ჩვენს დაპირებას და შესაბამისად ვიმოქმედებთ. მაშინაც კი, როცა ეს რთულია, ჩვენ ყოველთვის ვიცავთ მოქმედ კანონებს და ვმოქმედებთ კეთილსინდისიერად.

MAERSK

# კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფცია უკანონოა და კატასტროფულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და კომპანიებზე – ამცირებს შესაძლებლობებს და ქმნის უთანასწორობას. მაერსკს აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ. ის ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც ჩვენ ვიცავთ და მხარს ვუჭერთ, ჩვენი მიზნების ჩათვლით: „ცხოვრების გაუმჯობესება ყველასთვის მსოფლიოს გაერთიანების გზით“ ჩვენ მზად ვართ ვებრძოლოთ კორუფციას და დავიცვათ ანტიკორუფციული კანონები და რეგულაციები, რითაც ჩვენს საქმიანობაში ვხელმძღვანელობთ.

კორუფციის ტიპებიდან, ყველაზე მეტი რისკია, რომ მაერსკში დაფიქსირდეს მექრთამეობა, სამთავრობო მოხელეების ჩართულობით, თუმცა რისკები კომერციულ ურთიერთობებშიც არსებობს.

ქრთამი არის გადახდები, საჩუქრები ან რაიმე ფასეულის დაპირება ან შეთავაზება, რომელიც არასათანადო უპირატესობის მოპოვების, ასევე პირადი ან პროფესიული სარგებლის მიღების მიზნით, ითვალისწინებს ვინმეზე ზემოქმედების მოხდენას. ქრთამი შეიძლება იყოს როგორც ფულადი (ნაღდი ფულის შეთავაზება), ასევე არამონეტარული, მაგალითად: შეუსაბამო საჩუქრები, გართობა, სტუმარ-მასპინძლობა, შემოწირულობა, სპონსორობა ან შეუსაბამო ფასდაკლებები, გადასახადებზე ან საფასურის გადახდაზე თავის არიდებაში დახმარება, საქონლის ღირებულების გადახდისთვის საჭირო ფულის ან მთელი თანხის უკანონო დაკლება ან ანგარიშიდან ჩამოწერები.

**ელმწიფო მოხელე**
ტერმინი სახელმწიფო მოხელე ფართოდ მოიცავს პოლიტიკოსებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს და სხვა დასაქმებულებს ნებისმიერ სამთავრობო ორგანოში, დეპარტამენტში, სააგენტოში ან კომპანიებში, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის მთავრობას (ე.წ. სახელმწიფო საწარმოები), ან საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებს (როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია).

**წამახალისებელი გადასახადი**
დაბალი ღირებულების გადასახადი (ნაღდი ფულით ან საქონლით) დაბალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკისთვის, რათა მან, როგორც წესი დააჩქაროს ან უზრუნველყოს ისეთი რუტინული, ადმინისტრაციული ქმედების შესრულება, რომლის მიღების უფლება ისედაც გაქვთ. მაგალითად: ოფიციალური დოკუმენტების დამუშავება, რიგში უპირატესობის მიღება ან პოლიციის დაცვის მოპოვება. დაბალი ღირებულების გადასახადი (ნაღდი ფულით ან საქონლით) დაბალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკისთვის, რათა მან, როგორც წესი დააჩქაროს ან უზრუნველყოს ისეთი რუტინული, ადმინისტრაციული ქმედების შესრულება, რომლის მიღების უფლება ისედაც გაქვთ. მაგალითად: ოფიციალური დოკუმენტების დამუშავება, რიგში უპირატესობის მიღება ან პოლიციის დაცვის მოპოვება.

## საჩუქრები, გართობა და სტუმარ-მასპინძლობა

ჩვენ გვესმის, რომ საჩუქრებს, გართობას და სტუმართმოყვარეობას ხშირად მიმართავენ საქმიანი ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით. თუმცა, ეს პრობლემად იქცევა სწორედ მაშინ, როდესაც აღნიშნული მიზნად ისახავს ვინმეზე არასათანადო უპირატესობის მოპოვებას, ეს შესაძლოა, მექრთამეობად ჩაითვალოს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ ნებადართულია მხოლოდ წესებითა და რეგულაციებით გათვალისწინებული საჩუქრების შეთავაზება და მიღება, ასევე გართობა და სტუმარ - მასპინძლობა შესაბამისობის ფარგლებში.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ გაცილებით მკაცრი წესები მოქმედებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას.

## შემოწირულობა, ფინანსური მხარდაჭერა, საქველმოქმედო შენატანი

შემოწირულობის, ფინანსური მხარდაჭერის განხორციელებამდე ან ნებისმიერ საქველმოქმედო საქმიანობაში წვლილის შეტანამდე, ასევე პოლიტიკური პარტიის ან ღონისძიების სპონსორობამდე, როდესაც ის პირდაპირ კავშირშია ხელისუფლების წარმომადგენელთან, აუცილებელია მოიპოვოთ შესაბამისობის გუნდის თანხმობა.

## მესამე მხარეები

ჩვენ ვართ პასუხისმგებელი სხვის მიერ ჩვენი სასხელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე. ჩვენ არ მივმართავთ მესამე პირებს, მაგალითად აგენტებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს ან ბროკერებს, იმისათვის, რომ უზრუნველყონ ჩვენთვის ნებადაურთველი/ აკრძალული საქმიანობის შესრულება, მაგალითად ქრთამის შეთავაზება /აღება ან უკანონო წამახალისებელი ანაზღაურება. მაერსკმა უნდა ითანამშრომლოს მესამე მხარესთან მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი ბიზნეს საჭიროება და თუ მათი წარსული საქმიანობის შემოწმების შედეგად, უმართავი/ უკონტროლო რისკები არ გამოვლინდება.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ გარე კომპანიებზე, ასევე ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მომსახურების გაწევის მიზნით, ურთიერთობენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან აწარმოებენ ბიზნესს მაერსკის სახელით. ზემოაღნიშნული ტიპის მესამე მხარესთან ხელშეკრულების დადებამდე, უზრუნველვყოფთ მათი სანდოობის შეფასების პროცესის განხორციელებას.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ბიზნეს გადაწყვეტილებაზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით, არასოდეს შესთავაზოთ, დაჰპირდეთ ან მიიღოთ ფინანსური სარგებელი
- უარი თქვით ფორმალობის გამარტივების მიზნით შემოთავაზებულ ფინანსურ ანაზღაურებაზე/ წამახალისებელ გადასახადზე. თუ სიტუაციიდან გამომდინარე, წამახალისებელი გადასახადის თავიდან აცილება შეუძლებელია, მოიპოვეთ მენეჯერის წინასწარი თანხმობა, ხოლო თუ გაბრკოლებთ თქვენივე უსაფრთხოება, განახორციელეთ გადახდა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეატყობინეთ თქვენს მენეჯერს და შესაბამისობის გუნდს აღნიშნული ინციდენტის შესახებ.
- სანამ რაიმე საჩუქარზე, გართობასა თუ გამასპინძლებაზე დათანხმდებით, დარწმუნდით, რომ მოქმედებთ ჩვენი წესების, ასევე ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვეთ შესაბამისი ნებართვა.
- არასოდეს სთხოვოთ მესამე მხარეს, მაგალითად მომწოდებელს, ქრთამის გაცემა/მიღება ან ფორმალობის გამარტივების მიზნით, მაერსკის სახელით წამახალისებელ ანაზღაურებაზე დათანხმება;
- მესამე მხარესთან ურთიერთობისას, რომელიც მაერსკის სახელით ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობს, იხელმძღვანელეთ მესამე მხარის მართვის პროცესის შესაბამისად

# კონკურენციის კანონის შესაბამისობა

მაერსკი თავის საქმიანობას მხოლოდ კონკურენციის შესახებ მსოფლიოში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით ახორციელებს, რაც თავისუფალ და სამართლიან კონკურენციას უწყობს ხელს. ამიტომ, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მაერსკის კონკურენტულ პოლიტიკასთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ვოპერირებთ.

ჩვენ არ ვაფორმებთ უკანონო შეთანხმებებს ჩვენს კონკურენტებთან, რამაც შესაძლოა შეზღუდოს ან ჩაახშოს კონკურენცია, მაგალითად ფასების ხელოვნურად გაზრდა, ბაზრისა და კლიენტების გაყოფა და ტენდერის გაყალბება. კონკურენტებთან ურთიერთობისას, ჩვენ უზრუნველვყოფთ მაერსკის **კონკურენტუნარიანი სტრატეგიული ინფორმაციის** კონფიდენციალურობას, ასევე კონკურენტების შესახებ ანალოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამორიცხვას.

თუ მაერსკს აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება კონკრეტულ ბაზარზე, გარკვეული ქმედებები აკრძალულია იმისათვის, რომ კომპანიამ არ გამოიყენოს თავისი გავლენა ბაზარზე კონკურენტების ჩამოსაშორებლად ან მომხმარებლებზე და მომწოდებლებზე უპირატესობების მოსაპოვებლად.

**კონკურენტული სტრატეგიული ინფორმაცია**
კონკურენტული სტრატეგიული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ბიზნეს ინფორმაციას. ეს არის კომერციული ინფორმაცია რომელიც სხვაგვარად მიუწვდომელი იქნებოდა თქვენი კონკურენტებისთვის და გაურკვევლობის შემცირებით მისცემდა მათ სტრატეგიულ უპირატესობას, ბაზარზე თქვენს მოსალოდნელ ქმედებებთან დაკავშირებით.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- არასდროს გაუზიაროთ, მოითხოვოთ ან განიხილოთ კონკურენტული სტრატეგიული ინფორმაცია კონკურენტებთან.
- კონკურენტებთან ურთიერთობისას ყოველთვის დარწმუნდით, რომ დღის წესრიგი და შეხვედრების დეტალური ოქმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, მაგალითად, ერთობლივი საწარმოების, ოპერაციული ხელშეკრულებების და ინდუსტრიის ასოციაციების შეხვედრების კონტექსტში.
- თუ ინფორმაცია კონკურენტულად სტრატეგიული პოლიტიკის შესახებ გამჟღავნდება ან განიხილება შეხვედრაზე, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ შეხვედრა და მოითხოვოთ, თქვენს მიერ შეხვედრის დატოვება დაფიქსირდეს შეხვედრის ოქმში.
- ბიზნესის თვალსაზრისით, ყოველთვის ეცადეთ დამოუკიდებლად კონკურენციის გაწევას, ჩვენი მომხმარებელებისთვის დააწესეთ ჩვენი ფასები და მიწოდების პირობები.
- სთხოვეთ კონკურენციის შესახებ კანონმდებლობისა და პოლიტიკის დეპარტამენტს, განიხილოს და დაამტკიცოს ყველა დაგეგმილი შერწყმა, შეძენა, საკუთრების უფლების შეწყვეტა და ერთობლივი საწარმოს შექმნა, ასევე ნებისმიერი დაგეგმილი ურთიერთქმედება კონკურენციის მარეგულირებლებთან.
- სადაც მაერსკს აქვს მნიშვნელოვანი ბაზრის წილი, ყურადღებით განიხილეთ პროდუქტის შეთავაზება და სტრატეგიის შემუშავება. ყოველთვის მიმართეთ კონკურენციის შესახებ კანონმდებლობისა და პოლიტიკის დეპარტამენტს, ეჭვის / გაურკვევლობის არსებობის შემთხვევში

# სანქციები და ექსპორტის კონტროლი

ჩვენი ერთმანეთთან ვაჭრობის უნარი გადამწყვეტია ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. მაგრამ ქვეყნებს ასევე აქვთ ინტერესი გააკონტროლონ თუ რა საქონლისა და მომსახურების ექსპორტი სრულდება, ვისი მისამართით და რა ვითარებაში - და სწორედ ამ დროს ხდება სანქციების ამოქმედება და ექსპორტის კონტროლი.

## სანქციები

სანქციები ზღუდავს საქმიან ოპერაციებს/ტრანზაქციებს გარკვეულ ქვეყნებთან, ორგანიზაციებთან და ინდივიდებთან.

ვინაიდან, მაერსკის სათავო ოფისი მდებარეობს დანიაში, ხოლო დანია არის ევროკავშირის (EU) წევრი, ევროკავშირის სანქციების რეგულაციები ყოველთვის ვრცელდება ჩვენს ბიზნესზე მთელ მსოფლიოში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვაწარმოებთ ბიზნესს იმ მხარეებთან, რომლებზეც აღნიშნული სანქციები ვრცელდება. ჩვენს ბიზნესზე შესაძლოა ასევე გავრცედეს სხვა ეროვნული ან საერთაშორისო სანქციები მაერსკის გლობალური ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად, შეერთებული შტატების (აშშ) სანქციების რეგულაციები, რომელიც ზღუდავს აშშ-ს ნებისმიერ ჩართულობას, ასევე ვრცელდება ჩვენს თითქმის ყველა საქმიან ოპერაციებზე.

ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს მკაცრი სანქციები ან მიეკუთვნებიან მაღალი რისკი ჯგუფში შემავალ ქვეყნებს, ამიტომ ასეთ ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობები განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ყოველთვის დაუკავშირდით შესაბამისობის ჯგუფს ამ ქვეყნებთან დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობამდე. იმ ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც მოქმედებს მკაცრი სანქციები ან მიეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ ქვეყნებს შეგიძლიათ იხილოთ მაერსკის ინტრანეტზე.

სანქციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის გუნდი უზრუნველყოფს იმ ბიზნეს პარტნიორებისა და მესამე მხარეების შემოწმებას, ვისთანაც ჩვენ ბიზნესს ვაწარმოებთ. აღნიშნული შემოწმება კი ითვალისწინებს გადამოწმებას იმისა, არიან თუ არა ეს ქვეყნები სანქცირებულები ან შეზღუდულ მხარეთა ჩამონათვალში. თუ მხარე სანქცირებულია, დაუყონებლივ უნდა შევწყვიტოთ მათთან ურთიერთობა. აღნიშნული გუნდი ასევე ახორციელებს საზღვაო გადაზიდვების კონტროლს, გარანტიად იმისა, რომ არ შემოვიდეს სანქცირებული ან ექსპორტის კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. აღმოჩენის შემთხვევაში კი მიიღება შესაბამისი ზომები, შეთანხმებაზე უარის თქმისა და გაუქმების მიზნით.

## ექსპორტის კონტროლი

ექსპორტის კონტროლი არის შეზღუდვა, რომელსაც მთავრობები აწესებენ კონკრეტული საქონლის ექსპორტზე ან ტრანსპორტირებაზე გარკვეულ ქვეყნებში. ზოგ შემთხვევაში, ექსპორტისთვის საჭიროა გარკვეული ნებართვები, რომელიც ცნობილია, როგორც ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიები. სხვა შემთხვევებში კი აღნიშნული საქონლის ექსპორტი კონკრეტულ ქვეყნებში სრულიად აკრძალულია.

ჩვენი თანამშრომლები უნდა დაუკავშირდნენ შესაბამისობის გუნდს, მაერსკის მიწოდების ჯაჭვში საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი ნივთის არსებობის შემთხვევაში

**რას ნიშნავს ეს თქვენთვი**

- არასოდეს დაეთანხმოთ ვინმეს რაიმე დოკუმენტის შეცვლაზე მხარის ნამდვილი ვინაობის გასაიდუმლოების მიზნით, ასევე იმ შემხვევაში თუ საქონელი ფაქტობრივად არის განკუთვნილი სანქცირებული მხარისთვის/ ქვეყნისთვის, ან თუ ის ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს.
- მკაცრი სანქციების ქვეყნებთან (დაკავშირებულ მხარესთან) შეთანხმების დადებამდე, ყოველთვის დაუკავშირდით მაერსკის შესაბამისობის გუნდს.
- შეატყობინეთ შესაბამისობის გუნდს სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ტვირთის შესახებ, რომელიც შეძენილია უშუალოდ მომწოდებლებისგან საკუთარი გამოყენებისთვის

# ინტერესეთა კონფლიქტი

როგორც მაერსკის თანამშრომელი, თქვენ მონაწილეობთ აქტივობებში, რომელიც გეხმარებთ თქვენი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში და კომპანიას წარმატების მიღწევაში. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნამ, შეიძლება ყურადღება გადაგატანინოთ და ვერ მოახდინოთ საკუთარ მოვალეობებზე კონცენტრირება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს თქვენზე არ იმოქმედოთ მაერსკის ინტერესების სრული დაცვით.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის მაგალითები მოიცავს დამატებით კერძო ბიზნესის წარმოებას, რომანტიკულ ურთიერთობებს კოლეგებთან, მეგობრების და ოჯახის წევრების ბიზნეს პარტნიორებად ან ახალ თანამშრომლებად დაქირავებას.

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრა, თავიდან აცილება და მართვა მაერსკის კულტურის განუყოფელი ნაწილია და უზრუნველყოფს თქვენი, როგორც თანამშრომლის და მაერსკის დაცვას ჯარიმებისგან, რეპუტაციის შელახვისგან, სამართლებრივი რისკებისგან, ასევე შემოსავლისა და ნდობის დაკარგვისგან.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობა სულაც არ ნიშნავს აღნიშნული საქმიანობის თავიდან აცილებას ან შეწყვეტას. ხშირად მათი მოგვარება შესაძლებელია ინფორმაციის გამჟღავნებით და კონფლიქტის მოგვარების ან მართვის მიზნით გადადგმული სხვა ნაბიჯებით.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის**

- ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის ჩვენი შიდა პროცედურების შესაბამისად გამოცხადება.

# ჩვენ პასუხისმგებლობით ვეკიდებით პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას.

ჩვენ ვურთიერთობთ მრავალ გარე პარტნიორთან და დაინტერესებულ მხარესთან, რომელიც მოიცავს მომწოდებლებს, სახელმწიფო მოხელეებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ მოსახლეობას, სადაც ჩვენ ვოპერირებთ, პროფკავშირებს, თანამშრომელთა წარმომადგენლებს და მომხმარებლებს. ჩვენ გვჯერა ამ ჯგუფებთან კონსტრუქციული დიალოგის და მათთან მთელი  პასუხისმგებლობით ვითანამშრომლებთ.

აღნიშნულ აქტივობებში ჩართულობისას, უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენ სახელს. ამიტომ, თანამშრომლებთან და მედიასთან ეფექტური ურთიერთობის შენარჩუნება აუცილებელია იმისათვის , რომ უზრუნველყოთ შიდა და საზოგადოებრივი ნდობის დაცვა , როგორც მაესკში ასევე,  იმ დარგში რომელშიც ჩვენ ვოპერირებთ.

MAERSK

# მთავრობებთან ურთიერთობა

მაერსკი მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს მთავრობებთან, ასევე ხელისუფლებებთან ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. მთავრობებთან და ხელისუფლებებთან თანამშრომლობისას, ჩვენ ვიცავთ თანმიმდევრობას, თავაზიანად და პატიოსნად ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, ასევე ვაჟღერებთ გზავნილებს. ეს ასევე ნიშნავს, რომ ჩვენ ვიცავთ მაერსკის შიდა პოლიტიკას და წესებს მთავრობასთან ურთიერთობის შესახებ და მთავრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობის ეროვნულ გაიდლაინებ

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიან საკითხებთან დაკავშირებით თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ ურთიერთობა მთავრობებთან და ხელისუფლებასთან ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მაერსკის ფარგლებში შეთანხმებულად მოქმედებით, საჭიროებისამებრ. თუმცა, როგორც კი მოქმედების სფერო სცდება ჩვეულებრივ ბიზნეს საკითხებს, რომელიც ითვალისწინებს მაგალითად, მინისტრების, ელჩების ან მაღალი თანამდებობის პირების დონეზე ჩართულობას, თქვენ უნდა დაუკავშირდეთ საზოგადოებრივ საქმეთა და შესაბამისობის გუნდს ნებისმიერი დაგეგმილი შეხვედრის/ურთიერთობის დაწყებამდე.

ამ ურთიერთობებისას, გთხოვთ , დარწმუნდეთ, რომ ფლობთ განახლებულ ინფორმაციას ჩვენი ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს გაიდლაინების შესახებ.

# დონაციები, საქველმოქმედო მხარდაჭერა, სპონსორობა და საზოგადოებრივი ინვესტიციები

ჩვენ მხარს ვუჭერთ უშუალო ჩართულობას იმ საზოგადოებაში სადაც ვოპერირებთ კანონიერი და გამჭვირვალე საშუალებებითჩვენ.

გარკვეულ ვითარებაში, ჩვენთვის შეიძლება რეკომენდირებული და მიზანშეწონილი იყოს, მხარი დავუჭიროთ ადგილობრივ ინიციატივებს დონაციების, საქველმოქმედო მხარდაჭერის, სპონსორობის ან საზოგადოებრივი ინვესტიციების მეშვეობით. თუმცა, თუ ინიციატივა დაკავშირებულია სახელმწიფო მოხელეებთან ან დაწესებულებებთან, აღნიშნული მოითხოვს შესაბამისობის ჯგუფის წინასწარ თანხმობას.

ყველა პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის მისამართით განხორციელებული შემოწირულობა, ე.წ. პოლიტიკური შემოწირულობა (საარჩევნო კამპანიები), მოითხოვს საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდის წინასწარ დასტურს

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- სამთავრობო მოხელის ან დაწესებულების მისამართით შენატანის ან შემოწირულობის განხორციელებამდე, დაუკავშირდით შესაბამისობის გუნდს
- ნებისმიერი პოლიტიკური შემოწირულობის ან დონაციის შესრულებამდე დაუკავშირდით საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდს

# სოციალური ქსელის საქმიანი გამოყენება

მაერსკში ჩვენ ვაცნობიერებთ ინფორმაციის გაცვლისა და სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობას. ხელს ვუწყობთ თანამშრომელთა ჩართულობას შიდა არხების, ასევე გარე სოციალური ქსელების გამოყენებით. თუმცა, ყოველთვის ცხადი უნდა იყოს, რომ სოციალურ ქსელში ატვირთული პოსტები და კომენტარები გამოხატავს არა კომპანიის, არამედ პირად მოსაზრებასა და შეხედულებას

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- სოციალური ქსელის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, როგორც ნებისმიერ პროფესიონალურ გარემოში, ჩვენ მივმართავთ კომუნიკაციის საღ აზრს.
- იმ შემთხვევაში, თუ მედია მაერსკის შესახებ დაგიკავშირდებათ, გთხოვთ, აცნობოთ კომუნიკაციების გუნდს, რადგან მხოლოდ უფლებამოსილ წარმომადგენლებს შეუძლიათ გარე მედიასთან ურთიერთობა.
- Yammer არის ჩვენი შიდა სოციალური ქსელი და საშუალება, სადაც ჩვენ მივესალმებით და ვაფასებთ ღია კომუნიკაციას, მაგრამ ვითხოვთ, აღნიშნულის თავზიანი ფორმით გამოყენებას. შეეცადეთ იყოთ კონსტრუქციული, მაშინაც კი როცა საწინააღმდეგო აზრს აფიქსირებთ.

# ჩვენ ვიცავთ ჩვენს, ასევე სხვების აქტივებს

ყოველდღიურად, ჩვენ შეხება გვაქვს ფასიან აქტივებთან, რომლებიც მინდობილობით გადმოგვეცემა მაერსკისგან, თანამშრომლებისგან, მომხმარებლებისგან, მომწოდებლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ აღნიშნული აქტივების დაცვა და პასუხისმგებლობით გამოყენება.



# კიბერ უსაფრთხოება

მაერსკში, კიბერ უსაფრთხოებას ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც უსაფრთხოებასა და ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხებს. კიბერ უსაფრთხოების ძლიერი პრაქტიკა მაერსკის კონკურენტუნარიანობას ზრდის და განაპირობებს საზოგადოებისა და მომხმარებლების ნდობის გამყარებას. ჩვენ ყველა პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ კიბერ უსაფრთხოებას და გავაცნობიეროთ, თუ რა მექანიზმების მეშვეობით შევძლებთ ჩვენი ქსელის, სისტემების, მოწყობილობების და ჩვენ მიერ ყოველდღიურად გამოყენებული ინფორმაციის დაცვას.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისა და ბიზნეს პროცესების მუდმივ შეფასებას, რათა განვსაზღვროთ მათთან დაკავშირებული კიბერ რისკები, ასევე თუ როგორ შეიძლება მათი შედეგების სათანადო შემსუბუქება. ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი IT-ის მდგრადობა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვა, რადგან ახალი პროცესების და ტექნოლოგიების შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად ვითარდება საფრთხეებიც.




**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- იყავით ინფორმირებულნი და შეასრულეთ კიბერუსაფრთხოების პოლიტიკით გათვალისწინებული მითითებები
- დაიცავით მაერსკის ინფორმაცია, ასევე თქვენს მიერ გამოყენებადი ტექნოლოგიური მოწყობილობები
- გაიგეთ და გააცნობიერეთ თქვენი პოზიციისთვის გათვალისწინებული კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კონკრეტული პასუხისმგებლობის შესახებ, როგორიცაა ინფორმაციის კლასიფიკაცია, დამუშავება; სისტემის უსაფრთხო განვითარება; ან ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაცია და მომსახურება.
- გაიარეთ თქვენი პოზიციისთვის დაგეგმილი კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგი
- საქმიან ინფორმაციაზე და ტექნოლოგიურ სისტემებზე წვდომის უფლება მიანიჭეთ მხოლოდ ავტორიზებულ პირებს.
- არასდროს შეეცადოთ იქონიოთ წვდომა ინფორმაციაზე ან სისტემაზე, რომელზეც წვდომის კანონიერი ბიზნეს საფუძველი არ გაგაჩნიათ.
- გამოიჩინეთ სიფხიზლე ჩვენი საინფორმაციო და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით
- გააცნობიერეთ და მიჰყევით ინციდენტის შესახებ შეტყობინების პროცესს უსაფრთხოების სავარაუდო ინციდენტებზე.

# მონაცემთა ეთიკა და კონფიდენციალურობა

მაერსკის კომერციული საქმიანობის განხორციელების მეთოდი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მონაცემებსა და ტექნოლოგიებზე. ჩვენ მზად ვართ შევთავაზოთ ინოვაციური გადაწყვეტილებები ჩვენს მომხმარებლებს, ბიზნეს პარტნიორებსა და თანამშრომლებს. ასევე, ვიყენებთ ინოვაციებს, რათა დადებითად ვიმოქმედოთ მდგრადი გავითარების გლობალურ გამოწვევებზე ოპერაციული ოპტიმიზაციისა და ახალი დარგობრივი ნორმების დანერგვის გზით

ჩვენ მიერ მონაცემების გამოყენება არის ამ ინოვაციური ამბიციების შემდგომი წინსვლის საფუძველი გლობალური საზოგადოების საკეთილდღეოდ. სწორედ ამიტომ, ჩვენ უზრუნველვყოფთ მონაცემების სიფრთხილითა და შესაბამისობით დამუშავებას

ჩვენ მუდმივად უზრუნველვყოფთ მონაცემთა გამჭირვალე დამუშავებას  და დაინტერესებული მხარეებისადმი თავაზიანობის გამოჩენას. მათ იციან თუ რა მონაცემებს ვაგროვებთ და ვაზიარებთ და თუ როგორ ხდება მაერსკის მიერ მათი გამოყენება. ჩვენ ვაგროვებთ მხოლოდ ისეთ ინფორმაციას/მონაცემებს, რაც აუცილებელია კანონიერი მიზნებისთვის და ვინახავთ მხოლოდ მანამ, სანამ საჭიროა. ჩვენ უზრუნველვყოფთ მონაცემთა დამუშავებას მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, ასევე შესაბამის დაცვას არაკანონიერი გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით.

## მონაცემთა კონფიდენციალურობა

პიროვნების კონფიდენციალურობის უფლების პატივისცემა და პირადი ინფორმაციის ეთიკური გამოყენება ჩვენი საქმიანი ქცევის საფუძველია. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ახდენს პირის იდენტიფიკაციას, ითვლება პერსონალურ მონაცემად. მაგალითები მოიცავს საიდენტიფიკაციო მინაცემებს, საბანკო ანგარიშებს, ასაკს,

თქვენს რეზიუმესა და გასაუბრების შედეგებს.

მაერსკი ისწრაფვის გამოიყენოს პერსონალური მონაცემები, მონაცემთა კონფიდენციალურობის შესახებ გლობალური კანონებისა და რეგულაციების, მათ შორის მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის საერთო რეგლამეტის შესაბამისად.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- გამოიყენეთ პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის უფლება გაქვთ;
- უზრუნველყავით ცალკეული პირების  პირადი ინფორმაციის გამოყენების გამჭირვალობა;
- გამოიყენეთ პერსონალური მონაცემები მხოლოდ გამიზნული და დასაბუთებული მიზნებისთვის;
- შეაგროვეთ, გამოიყენეთ და გაავრცელეთ პირადი მონაცემები მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტური და აუცილებელია;
- შეინახეთ ზუსტი და განახლებული პირადი მინაცემები;
- წაშალეთ პირადი მონაცემები მას შემდეგ რაც აღარ გჭირდებათ;
- უზრუნველყავით  პირადი მონაცემების უსაფრთხოდ შენახვა;
- უზრუნველყავით თქვენი სწორად მოქმედების დასაბუთება



# ინტელექტუალური საკუთრება

ინტელექტუალური საკუთრება ეხება ინტელექტუალურ შემოქმედებას, როგორიცაა კომპანიის სახელი და ლოგო, გამოგონება, დიზაინი, წესდება, კოდი, მონაცემთა ბაზა და ნოუ-ჰაუ. მაგალითები მოიცავს ახალ ალგორითმს, ახალი ძრავის სისტემას, გემის ფორმას ან პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების მომხმარებელთა ინტერფეისს.

ინტელექტუალური საკუთრება არა მხოლოდ იურიდიული აქტივი, არამედ ბიზნეს აქტივიცაა, რომელიც მაგალითად შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენი ბრენდის გასაძლიერებლად და სხვებზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ჩვენ ვიცავთ ჩვენს ინტელექტუალურ საკუთრებას და პირიქით, პატივს ვცემთ და თვითნებურად არ დავარღვევთ მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

ჩვენ ვიყენებთ მსგავს ინფორმაციას მხოლოდ კანონიერი, ბიზნეს ამოცანების შესასრულებლად და არავის ვუზიარებთ შესაბამისი წინასწარი თანხმობის / ნებართვის გარეშე.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- დაუკავშირდით იურიდიულ დეპარტამენტს, რათა შეაფასონ, შეესაბამება თუ არა გამოგონებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, როგორიცაა პატენტები;
- აცნობეთ იურიდიულ დეპარტამენტს, თუ ეჭვი გაქვთ, რომ მესამე მხარე აკოპირებს მაერსკის პროდუქტებს, სახელებს, ლოგოებს, ან თუ ფიქრობთ, რომ მაერსკი შესაძლოა ბოროტად იყენებდეს მესამე მხარის ინტელექტუალურ საკუთრებას.



# ჩვენ ვიცავთ გარემოს

ჩვენ ვისწრაფვით გარემოს დაცვის უზრუნველყოფისკენ, როცა ვთავაზობთ მდგრად და  კომპლექსურ გადაწყვეტილებებს. ჩვენ საკუთარ თავს მოვიაზრებთ დედამიწის აქტიურ მოქალაქეებად, რომლებიც ვმოღვაწეობთ ოკეანეებში, ხმელეთზე თუ ჰაერში. ოკეანის, ასევე ნიადაგის მდგომარეობისა და აღდგენის შესაძლებლობაში აქტიური მონაწილეობით, მათ შორის ცხოველთა ბუნებრივი გარემოს დაცვით ჩვენს მიერ ოპერირებად ადგილებში,  ვცდილობთ, რაც შეიძლება ნაკლები უარყოფითი გავლენა ვიქონიოთ ზემოაღნიშნულზე.

# დეკარბონიზაცია

მსოფლიო კლიმატის საგანგებო მდგომარეობის წინაშე დგას. ჩვენ მოვალეობად მივიჩნევთ - როგორც დარგის ლიდერმა, ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით - გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიოთ ნახშირბადნეიტრალურობას ანუ ნახშირორჟანგის სუფთა-ნულოვან ემისიას.

ჩვენ დავსახეთ ამბიციური, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული მიზნები, რომ 2040 წლისთვის, გავხდეთ კომპანია ნახშიროჟანგის ნულოვანი ემისიებით, მათ შორის კონკრეტული მიზნები სათბურის აირების ემისიების შესამცირებლად მაერსკის ყველა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ოპერაციებში, ასევე ვალდებულება დავეხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს ნულოვანი გაფრქვევის მიღწევაში.

## რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

- მოიძიეთ გზები თქვენს სფეროში, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს მიზნებს დეკარბონიზაციის შესახებ.

# ჯანმრთელი ეკოსისტემა და ბიომრავალფეროვნება

ხმელეთზე და ოკეანეებში ბიომრავალფეროვნების საფრთხის სერიოზულობის შესახებ მუდმივად ხდება ცნობიერების ამაღლება და მაერსკი მოწოდებულია დაიცვას არსებული წესები და რეგულაციები, რომელიც იცავს ეკოსისტემების ჯანმრთელობას და ბიომრავალფეროვნებას.

## რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

- მოერიდეთ ან მინიმუმამდე დაიყვანეთ ოპერაციების შესრულება ოკეანეებსა და ხმელეთზე არსებულ ეკოლოგიურად დაუცველ ან დაცულ ადგილებში.
- ხელი შეუწყვეთ ველური ბუნებისა და გადაშენების პირას მყოფი სახეობების უკანონო ტრანსპორტირების თავიდან აცილებას.
- უზრუნველყავით ყველა გარემოსდაცვითი ინციდენტის შეტყობინება და სათანადო დამუშავება.



# ნარჩენები და დაბინძურება

ყოველდღიურ საქმიანობაში, ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ჩვენს საოპერაციო პრაქტიკაში  მინიმუმამდე დავიყვანოთ, შევამციროთ და თავიდან ავიცილოთ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ჩვენ ვმოქმედებთ ადგილობრივი კანონების და რეგულაციების შესაბამისად, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ბიზნესის  გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- თავიდან აიცილეთ ზღვის დაბინძურება;
- ხელი შეუწყვეთ  ზღვაზე კონტეინერების შემთხვევით დაკარგვის თავიდან აცილებას;
- გაითვალისწინეთ ჩვენს გარემოსდაცვითი მართვის სისტემებში და გლობალურ პოლიტიკაში მოცემული რეკომენდაციები.

# რესურსების მოხმარების მინიმიზაცია

მთელი კომპანიის მასშტაბით, ჩვენ ვცდილობთ რესურსების ეფექტურად მოხმარებას, აღდგენასა და გადამუშავებას, მომხმარებლების მომსახურეობისთვის საჭირო რესურსების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- თქვენს პასუხისმგებლობის სფეროში, მოიძიეთ რესურსების მოხმარების ეფექტურობის გაზრდის გზები;
- სადაც არის შესაძლებლობები, მხარი დაუჭირეთ რესურსების აღდგენას და გადამუშავებას;
- შეამცირეთ მტკნარი წყლის მოხმარება წყლის დეფიციტურ ადგილებში.



# ჩვენ ვახორციელებთ მკაცრ ფინანსურ კონტროლს

ფინანსური კეთილსინდისიერება არის ჩვენი ბიზნესისა და რეპუტაციის გასაღები. ფინანსური კეთილსინდისიერების შენარჩუნების მიზნით, ჩვენ მიდმივად ვახორციელებთ  მკაცრ შიდა კონტროლებს.

MAERSK

# თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა

მაერსკში ათასობით ადამიანია დასაქმებული. თანამშრომლების გარკვეულ რაოდენობას აქვს წვდომა ან ახორციელებს კონტროლს კომპანიის ფინანსური აქტივების გარკვეულ ნაწილზე. ჩვენი თანამშრომლები ითვალისწინებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობასა და მაღალი სიფრთხილით ახორციელებენ მათთვის მინდობილი აქტივების მართვას.

თაღლითობა გულისხმობს თანამშრომლის ან კონტრაქტორის მიერ მოტყუების მიზანმიმართულ ქმედებას პირდაპირი ან ირიბი პირადი სარგებლის მოპოვების მიზნით. მას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა, მათ შორის ქურდობა, ინტერესთა კონფლიქტი, ჩანაწერების გაყალბება.

თაღლითობა დანაშაულია. ეს არა მხოლოდ ფულს და რესურსებს აკარგვინებს ჩვენს კომპანიას, არამედ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ჩვენს რეპუტაციას, ჩაგვრთოს ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მოკლვლევებში და ზიანი მიაყენოს ადამიანებს, საზოგადოებებსა და მთავრობებს, რომელთანაც მაერსკს აქვს ურთიერთობა.

მაერსკი ძალიან სერიოზულად ეკიდება ზოგადად თაღლითობას და თაღლითობის ნებისმიერ ფორმას. ჩვენ ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, აღმოვაჩინოთ და გამოვიკვლიოთ ნებისმიერი თაღლითური ქცევა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ჩვენზე - ან მაერსკის ნებისმიერ ორგანიზაციულ ერთეულზე - და აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გვაქვს ჩვენი თითოეული თანამშრომლის იმედი.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- დაიცავით ჩვენი ღირებულებები და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ თქვენს განკარგულებაში არსებულ ფინანსურ თუ სხვა აქტივებს.
- პატიოსნად აწარმოეთ საფინანსო ჩანაწერები. უზრუნველყავით ზუსტი მონაცემების მიწოდება და ტრანზაქციების კლასიფიცირება სათანადო საანგარიშგებო პერიოდში.
- განაცხადეთ ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ჩვენი შიდა პროცედურების შესაბამისად.



# ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა

ჩვენ არ ვიღებთ შემოსავალს უკანონო საქმიანობიდან. შესაბამისად, თუ ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენს პოტენციურ მომხმარებლებს ან მომწოდებლებს, ჩვენ ვაწარმოებთ მათი წარსულში განხორციელებული საქმიანობების გადამოწმებას და ვცდილობთ მოვიპოვოთ ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს მათ პატიოსნებაზე და დაფინანსების წყაროს შესახებ. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ არ მოგვეპოვება იურიდიული დეპარტამენტის წინასწარი თანხმობა ან დასტური, ჩვენ არ ვაღიარებთ გადახდებს, შესრულებულს მესამე  მხარის მიმართ ან მხარის მიერ, რომლებიც არ არიან ჩვენი მომხმარებლები ან მომწოდებლები.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები, თუ ეჭვობთ, რომ თანხები კრიმინალური წარმოშობისაა. შესაძლო ეჭვის გამომწვევი ფაქტორები მოიცავს განსაკუთრებულად  მაღალი თანხების გადახდას ნაღდი ანგარიშსწორებით, მესამე მხარის მიერ განხორციელებული გადახდები, რომლებიც აშკარად არ არიან ჩართულნი საქმიან ურთიერთობაში და საქმიანი პარტნიორი უარს აცხადებს სრული და ზუსტი საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდებაზე.

# შიდა ინფორმაცია

როგორც კოპენჰაგენის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანია, მაერსკმა უნდა უზრუნველყოს  ბირჟის მიერ გაცემული წესების შესრულება , ევროკავშირის რეგულაცია ბაზრის ბოროტად გამოყენების შესახებ და დანიის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის აქტი.

აღნიშნული წესები უზრუნველყოფს საფონდო ბირჟისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას  და ფასიან ქაღალდებთან ინსაიდერული სავაჭრო ოპერაციების ან მანიპულირების გამორიცხვას.

შიდა ინფორმაცია არის ზუსტი ხასიათის გამოუქვეყნებელი ინფორმაცია, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ფასიანი ქაღალდების ფასზე, მისი გასაჯაროების შემთხვევაში.

ჩვენი ფასიან ქაღალდებისთვის მნიშვნელოვანია სამართლიანი ბაზრის არსებობა. ეს  იმას ნიშნავს,  რომ თქვენ არ შეგიძლიათ ვინმეს გაუმჟღავნოთ - გარდა იმ პირებისა ვისაც აქვს კანონიერი საჭიროება, იცოდეს - ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა ფლობდეთ მაერსკის ან სხვა საჯარო კომპანიების, მათ შორის ჩვენი ბიზნეს პარტნიორების შესახებ.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- არასაჯარო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, არ დაუშვათ ვინმესთვის თანხის გადახდა.



# პასუხსიმგებლიანი გადასახადი

ჩვენ ვუძღვებით და ვმართავთ ჩვენს საგადასახადო საკითხებს ჩვენი საგადასახადო პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპები ყოველწლიურად ნახლდება და მჭიდროდ შეესაბამება ჯგუფის ძირითად ღირებულებებს, ქცევის კოდექსს და მაერსკის ბიზნეს სტრატეგიას.

ჩვენ ვისწრაფვით ვიყოთ კანონმორჩილი და ანგარიშვალდებული გადასახადის გადამხდელი ყველა ქვეყანაში, სადაც ვოპერირებთ, რათა ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნების კეთილდღეობას. ჩვენ ვმართავთ ჩვენს საგადასახადო რისკს და რეპუტაციას პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე საგადასახადო პრაქტიკით.

**რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- დაიცავით ჩვენი საგადასახადო პრინციპები და უზრინველყავის გლობალური საგადასახადო გუნდის ჩარტულობა მაერსკის ჯგუფის საგადასახადო მმართველობის პროცესების შესაბამისად;
- არასოდეს ჩაერთოთ ხელოვნურ სქემებში ან საქმიანობებში მხოლოდ საგადასახადო შეღავათების მიღებად (მაერსკისთვის, პირადად თქვენთვის ან მესამე მხარისთვის), პროექტებში, ინვესტიციებში, კონტრაქტებში, პარტნიორობებში და ა.შ.;
- დროულად მიაწოდეთ ზუსტი მონაცემები ხელმძღვანელობის ან კანონის მოთხოვნის შემთხვევაში;
- განაცხადეთ ჯგუფური საგადასახადო პრინციპების ნებისმიერი შესაძლო დარღვევის შესახებ ჩვენი შიდა პროცედურების შესაბამისად.

**A.P. Møller - Mærsk A/S**
Esplanaden 50, DK–1098 Copenhagen K
+45 33 63 33 63
Company reg. no. 22756214

www.maersk.com

MAERSK